ვილჰელმ კოტარბინსკი - უკრაინული მოდერნის დავიწყებული გენიოსი

ვიქტორია სუკოვატაია

საკვანძო სიტყვები: *მხატვარი კოტარბინსკი, ორიენტალიზმი, მოდერნიზმის ესთეტიკა, ქალთა სახეები ფერწერაში.*

სტატია ეძღვნება მხატვარ ვილჰელმ კოტარბინსკის (1848-1921) მხატვრული მემკვიდრეობის ანალიზს თანამედროვე მასობრივი ვიზუალური კულტურის კონტექსტში. ვილჰელმ კოტარბინსკი, რომელიც მუშაობდა ძირითადად ისტორიული, რელიგიური და მითოლოგიური ფერწერის ჟანრში, სიცოცხლეშივე საკმაოდ პოპულარული იყო. მისი ტილო „ორგია“ უკვე 1891 წელს იმპერატორ ალექსანდრე მესამის მუზეუმმა (ამჟამად რუსული სახელმწიფო მუზეუმი პეტერბურგში) შეიძინა. კოტარბინსკიმ ფართოდ გაითქვა სახელი კიევში ვლადიმირის საკათედრო ტაძრის მოხატვით, რომელშიც იგი მონაწილეობდა ვიქტორ ვასნეცოვთან, მიხაილ ნესტეროვსა და სხვა ცნობილ მხატვრებთან ერთად. კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ კოტარბინსკის ფერწერა ნაკლებადაა შესწავლილი, როგორც ხელოვნებათმცოდნეობის, ისე ფილოსოფიურ-ესთეტიკური ანალიზის დონეზე. კოტარბინსკის ფერწერა დიდი ხნის განმავლობაში იყო უგულებელყოფილი ხელოვნებათმცოდნეების მიერ, ხოლო მისი წვლილი უკრაინული მოდერნის და რუსული სიმბოლიზმის განვითარებაში საბჭოთა პერიოდში საერთოდ არ განიხილებოდა. 21-ე საუკუნის დასაწყისში კოტარბინსკის ფერწერა ხელახლა აღმოაჩინეს, ხოლო უკრაინაში, რუსეთსა და პოლონეთში მის შესახებ გამოქვეყნდა რიგი სტატიები და ალბომები, რაც მიანიშნებს კოტარბინსკის მიერ შექმნილი სახეების აქტუალიზაციაზე და მისი სტილისტიკის თანხვედრაზე თანამედროვე მასობრივ ცნობიერებასთან. ამჟამად კოტარბინსკი ითვლება უკრაინული მოდერნის ერთ-ერთ შემქმნელად, ხოლო მისი ნამუშევრები ინახება ვარშავის, სანქტ-პეტერბურგის, კიევის და სუმის მუზეუმებში.

ჩემი ანალიზის მიზანს წარმოადგენს თანამედროვე დამთვალიერებლისთვის კოტარბინსკის შემოქმედების აქტუალიზაციის მიზეზების და მისი ფერწერული მემკვიდრეობის თავისებურებების შესწავლა. *კვლევის მეთოდოლოგია* გულისხმობს ისტორიულ-კულტურულ და შედარებით ანალიზს, ასევე მოიცავს შეხედულებათა თეორიას, გენდერულ კრიტიკას ლინდა ნოჰლინის, ტერეზა დე ლაურენტისის და ლორა მალვის მიდგომათა ჭრილში. *კვლევის სიახლეს* განაპირობებს ვილჰელმ კოტარბინსკის ფერწერაში სიუჟეტების ესთეტიკისა და ფილოსოფიის შეთავსება თანამედროვე მასობრივი კულტურის სახეებთან და მის შემოქმედებაში კულტურათაშორისი დიალოგის წარმოჩენა (**სურ. 1**).

ვილჰელმ კოტარბინსკი დაიბადა პოლონეთში, რომელიც იმ პერიოდში შედიოდა რუსეთის იმპერიაში. დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა იტალიაში, ხოლო ცხოვრების ბოლო 20 წელი გაატარა კიევში. მხატვრობას კოტარბინსკი ჯერ ვარშავის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა, ხოლო შემდეგ დაამთავრა წმინდა ლუკას სახელობის აკადემია რომში. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე კოტარბინსკი გახლდათ რუსეთის იმპერიის უმაღლეს ეშელონებში მიღებული და ყურადღებით განებივრებული მხატვარი: 1897 წელს იგი დააჯილდოვეს სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენით, ხოლო 8 წლის შემდეგ - აკადემიკოსის ხარისხით. კიევში ცხოვრების დროს კოტარბინსკის ახლო ურთიერთობები აკავშირებდა ბევრ ადგილობრივ მხატვარსა თუ ხელოვნებათმცოდნესთან, კერძოდ კრიტიკოს ადრიან პრახოვის ოჯახთან, მხატვრებთან: პავლე და ალექსანდრ სვედომსკისთან, ასევე მიხაილ ვრუბელთან, რომლის პორტრეტიც კოტარბინსკიმ კოლეგის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დახატა. კიევის ვლადიმირის საკათედრო ტაძრის გარდა, მას მოხატული აქვს მართლმადიდებლური და კათოლიკური ტაძრები უკრაინასა და ბელორუსიაში, კერძოდ წმინდა ნიკოლოზის ტაძარი რადომიშლში (ჟიტომირის ოლქი, უკრაინა),

სამი ანასტასიას ტაძარი გლუხოვოში (სუმის ოლქი, უკრაინა), წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძარი კიევში.

სიცოცხლეშივე მიღწეული წარმატების მიუხედავად, კოტარბინსკის მიერ შექმნილი სახეების პოეტიკა მიუღებელი აღმოჩნდა საბჭოთა ხელოვნებისთვის. გასული საუკუნის ცალკეული ავტორები კოტარბინსკის შემოქმედებას ახსენებენ უკრაინის სამხატვრო გაერთიანებებში მისი მონაწილეობის კონტექსტში. მისი შემოქმედების მიმართ ინტერესის აღორძინება კი ბოლო ათწლეულში დაიწყო,[1] რაც გამოიხატა მის შესახებ კვლევების და მისი ფერწერისადმი მიძღვნილი რიგი ბლოგების გაჩენაში.[2] 2000-იან წლებში უკრაინასა და რუსეთში იმართება გამოფენები და იბეჭდება ალბომები, რომლებშიც ასახულია კოტარბინსკის შემოქმედება.[3] 2014 წელს ხარკოველმა ჟურნალისტმა, ირინა პოტანინამ გამოაქვეყნა დოკუმენტალური რომანი, რომელშიც ძირითადი ადგილი ეთმობა მისტიკურ თემებს კოტარბინსკის ნამუშევრებში.[4] როგორც ჩანს, კოტარბინსკის მიერ შექმნილი სახეები ეხმიანება ბოლო 20 წლის განმავლობაში მასობრივი აუდიტორიის გემოვნებას. ჩემი სურვილია ამ, ერთი შეხედვით, მივიწყებული მხატვრის ფერწერის მიმართ ინტერესის აღორძინების მიზეზების დადგენა.

კოტარბინსკის შემოქმედების ძირითადი თემებია ჟანრული ისტორიული ტილოები საინტერესო კომპოზიციებით, ძირითადად, მითოლოგიურ, ძველ რომაულ და ახლოაღმოსავლურ მოტივებზე. ბევრი ძველი რომაული და აღმოსავლური სიუჟეტის თვალსაზრისით, კოტარბინსკი ახლოს დგას მე-19 საუკუნის შუა წლების ორიენტალისტურ ფერწერასთან. კერძოდ, ზოგი ხელოვნებათმცოდნე კოტარბინსკის განიხილავს, როგორც მე-19 საუკუნის შესანიშნავი მხატვარორიენტალისტის, ჰენრიხ სემირადსკის ტრადიციების გამგრძელებელს.[5] თუმცა, ამასთან, არსებობს ერთი თავისებურებაც, რომელიც, ჩემი აზრით, განპირობებულია იმით, რომ კოტარბინსკი ცხოვრობდა ეპოქათა გასაყარზე და განიხილავდა მე-19 საუკუნის ორიენტალისტების მხატვრულ იდეებს ევროპული მოდერნის ესთეტიკისა და ფილოსოფიის ჭრილში. გარდა ამისა, კოტარბინსკი წარმოშობით და საბაზისო განათლებით პოლონელი გახლდათ, რის გამოც თანამედროვეთა შორის იგი აღიქმებოდა „პოლონური“ და „იტალიური“ სამხატვრო სკოლების წარმომადგენლად.[6] შეიძლება ითქვას, რომ კოტარბინსკიმ უკრაინულ ფერწერაში შეიტანა ორიენტალიზმის ევროპული მოტივები: მაშინ, როცა ვერეშჩაგინის, პოლენოვის, შჩედრინის ორიენტალიზმი წარმოდგენილია ბიბლიური პალესტინის, ცენტრალური აზიის, ინდოეთის და ჩინეთის ასახვით, ვილჰელმ კოტარბინსკი თავის ნამუშევრებში „აღმოსავლეთის“ ნიმუშად წარმოაჩენდა ძველ ეგვიპტეს და გვიანი ანტიკური ხანის რომის ეგზოტიკურ სცენებს, რითაც, რა თქმა უნდა, გაამდიდრა უკრაინული მხატვრული აზროვნება[7] (სურ. 2. კოტარბინსკი, „ორგია“). შეიძლება ითქვას, რომ კოტარბინსკიმ გააფართოვა აღმოსავლეთის ასახვის „მხატვრული გეოგრაფია“, ჩართო რა მასში არა მხოლოდ რუსეთის იმპერიის „აღმოსავლეთი“ (Orient), არამედ ევროპის „აღმოსავლეთიც“ - ამასთან, არა გეოგრაფიული „აღმოსავლეთი“, არამედ შორეული წარსულის „წარმოსახვითი“[8] და ეგზოტიკური აღმოსავლეთი.

კოტარბინსკის ეგზოტიკური სახეები და ფანტასტიკური სიუჟეტები გამოირჩევა გამოკვეთილი დეკორატიულობით, სიუჟეტების დახვეწილობით, რითაც ამჟღავნებს სიახლოვეს არა მხოლოდ სიმბოლიზმთან, რომელიც პოპულარული იყო მე-20 საუკუნის დასაწყისის რუსეთში, არამედ, ჩვენი აზრით, გერმანული და ავსტრიული მოდერნიზმის ესთეტიკასთანაც, კერძოდ „იუგენდსტილსა“ და „სეცესიონთან“. კოტარბინსკის ტილოებში შეიმჩნევა სიახლოვე ფრანგული არტ-ნუვოს დეკორატიულობასთან და ალფონს

1 САВИЦКАЯ, Геній, котрий знав, 2009.
2 ДРОБОТЮК, Вільгельм Олександрович Котарбінський, 2010.
3 ДЬЯЧЕНКО, Хрупкий декаданс, 2013.
4 МАРІНІНА, КРУЖКОВА, Вільгельм Олександрович Котарбінський, 2010.
5 ДОБРИЯН, Участь Вільгельма Котарбінського, 2015.
6 ФЕДОРУК, Українсько–польські мистецькі взаємини, 2009.
7 СУКОВАТАЯ, ФИСУН, Женские образы, 2013.
8 NOHLIN, The Imaginary Orient, 1989.

მუხას და ფრანც შტუკის ქალთა სახეებთან. ეს კი, ჩვენი აზრით, განპირობებულია იმით, რომ კოტარბინსკი დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა ევროპაში და, რა თქმა უნდა, განიცადა გერმანული მოდერნიზმის ესთეტიკის გავლენა, რაც აისახა კიდეც მისი შემოქმედების ორ თავისებურებაში: მისტიკურ სიუჟეტებსა და ქალთა ეროტიკულ სახეებში.

მოდერნიზმისთვის, ზოგადად, დამახასიათებელია ქალის სექსუალობის მიმართ ინტერესი. ევროპული მოდერნიზმის ერთ-ერთი სიმბოლო გახლავთ ფრანც შტუკის ცნობილი ტილო „სფინქსი“ (1904), რომელიც ინახება დარმშტადტის სახელმწიფო მუზეუმში (გერმანია): ნახატზე გამოსახულია მომწიფებული ლამაზი ქალი იდეალური, სრულყოფილი შიშველი სხეულით, რომელიც წამოწოლილია ძველეგვიპტური სფინქსის პოზაში და სადღაც შორს იყურება (სურ. 3, ფ. შტუკი, „სფინქსი“). პოსტსტრუქტუალიზმის თეორეტიკოსების[9] და ვიზუალური თეორიის ექსპერტების[10] თანახმად, სიშიშვლის ასახვა მოწმობს ქალის შედარებით დაბალ სოციალურ (გენდერულ) სტატუსს კაცთა (პატრიარქალურ) საზოგადოებაში, ასევე იმ ფაქტს, რომ ნახატზე გამოსახული შიშველი ქალი განიხილება მხილველის (მხატვარი და დამთვალიერებელი) მიერ, როგორც სექსუალური ძალადობის პოტენციური „მსხვერპლი“,[11] როგორც კაცის მზერისთვის „ხელმისაწვდომი ობიექტი“ და, შესაბამისად, კონტაქტის ობიექტიც.[12] თუმცა შტუკის „სფინქსში“ ქალის სხეულის დაუფარავ ეროტიზმს ახლავს ნახატის გმირის საოცარი სიმშვიდე, მედიდურობაც კი, მათ მიმართ, ვინც მის სხეულს ათვალიერებს: მოდერნიზმის ესთეტიკაში ქალის სხეული დაუცველობის წყაროდან იქცევა მხილველის ცდუნების და დემონური დამორჩილების იარაღად. აღსანიშნავია, რომ სფინქსის პოზა, რომელიც შტუკის კომპოზიციის ცენტრშია წარმოდგენილი, გამოყენებულია კოტარბინსკის რამდენიმე ნამუშევარში: მაგალითად, „ტყვე ქალთა გალობა“ (სურ. 4, კოტარბინსკი, „ტყვე ქალთა გალობა“) და „კლეოპატრა“ (სურ. 5, კოტარბინსკი, „კლეოპატრა“). მიუხედავად ამისა, კოტარბინსკის ტილოების ემოციური დატვირთვა იძლევა მხოლოდ გარეგნული, დეკორატიული მსგავსების შესახებ მსჯელობის საშუალებას: მაშინ, როცა შტუკის შემთხვევაში შიშველი ქალის იდეა გამოიყენება, როგორც მაყურებლის მზერისა და ზმანებების დამორჩილების ხერხი, კოტარბინსკისთან ქალის სხეულის გარეგნული ეროტიზმი კარგავს მბრძანებლურ ქედმაღლობას და ერწყმება ტანჯვის, ჭკნობის, ამაო მოლოდინის, განშორების მოტივებს, რაც დამახასიათებელია რუსული დეკადანსის პოეტიკისათვის. შესაბამისად, შეიძლება ვილაპარაკოთ კოტარბინსკის შემოქმედებაში დასავლეთევროპული და აღმოსავლეთევროპული მოდერნიზმის მოტივების ერთობაზე: თუკი დასავლეთევროპელი მოდერნისტები ადამიანის სექსუალობაში გამოყოფენ ცხოველურ საწყისს და ახდენენ ქალური ეროტიზმის დემონიზაციას, კოტარბინსკის სიუჟეტებში ეროტიზმი ასრულებს დეკორატიული საწყისის როლს მაშინ, როცა მისი ბევრი ნახატის დედააზრია აღსასრულის წინათგრძნობა, ფატალურობა. მართალია, კოტარბინსკისთან უხვად გვხვდება ორიენტალურ დეკორაციებში გადაწყვეტილი შიშველი და ნახევრადშიშველი ქალების გამოსახულებები, მაგრამ ისინი უფრო ინფერნალურ ხასიათს ატარებენ, ვიდრე სექსუალურს თუ „ავისმომასწავებელს“.

აღსანიშნავია, რომ კოტარბინსკის ნამუშევრების დიდი ნაწილი მართლაც ეძღვნება საიქიოს ასახვას, რასაც ადასტურებს კიდეც მისი ნახატების სათაურები: „თვითმკვლელის საფლავი“, „მედუზის ამბორი“, „დაჭრილი ვამპირი“, „სატანა“, „ცდომილი ნათება“, „კოლუმბარიუმი“, „მედუზა“, „მოწამე“, „ქალთევზა“, „პირამიდების ანგელოზები“, „სიკვდილის შემდეგ“, „სევდის ანგელოზი“ (სურ. 6, კოტარბინსკი, „მედუზა“). ერთი მხრივ, ზოგი ავტორი ამტკიცებს, რომ კოტარბინსკის სახეთა გარკვეული „მელოდრამატიზმი“ განპირობებულია მისი პოლონური და კათოლიკური ფესვებით,[13] რადგან რელიგიური ეგზალტაცია დამახასიათებელია პოლონური მხატვრული „წარმოსახვითისთვის“. მეორე მხრივ, ცნობილია, რომ ინტერესი მისტიკის და იმქვეყნიურის მიმართ

9 ЛАУРЕТИС, В зазеркалье, 2001.
10 МАЛВИ, Визуальное удовольствие, 2000.
11 СУКОВАТАЯ, ФИСУН, Восток и женственность, 2013.
12 СУКОВАТАЯ, ФИСУН, Женские тела, 2014.
13 САВИЦКАЯ, Вільгельм Котарбінський, 2000.

წარმოადგენდა, როგორც დასავლური (სიმბოლიზმი, არტ-ნუვო), ისე რუსული (რუსი ფილოსოფოსები და „ვერცხლის საუკუნის“ პოეტები) მოდერნის კულტურის ნაწილს, რა მიზეზითაც მან ბუნებრივად იჩინა თავი კოტარბინსკის შემოქმედებაშიც. ჩვენი აზრით, კოტარბინსკის შემოქმედებითი მემკვიდრეობის სწორედ ეს ასპექტი განაპირობებს მის მიმართ ინტერესის ზრდას თანამედროვე მასობრივი კულტურის მხრიდან. ჩემი კონცეფცია მდგომარეობს შემდეგში: კოტარბინსკის მისტიკური სახეები (ალქაჯები, ქალთევზები, ანგელოზები, ეშმაკები, სფინქსები, წყალში დამხრჩვალი ქალიშვილები და ა.შ.) ვიზუალურად ძალიან ახლოს დგანან თანამედროვე „ფენტეზის“ ჟანრის გმირებთან, ხოლო თავად სიუჟეტების რეპერტუარი (შეხვედრა სიკვდილის შემდეგ, სასაფლაოზე მისვლა, სიკვდილის ამბორი, სიკვდილის წინასწარ გაცხადება და ა.შ.) დიდწილად ეხმიანება „ჰორორის“ ჟანრის სიუჟეტებს (სურ. 7, კოტარბინსკი, „ბნელი ვარსკვლავი“). ეს არც არის გასაკვირი, რადგან ისევე, როგორც კოტარბინსკი გასულ საუკუნეში, თანამედროვე საშინელებათა ფილმების და ლიტერატურის შემქმნელები საზრდოობენ საერთო წყაროდან: „შავბნელი“ რომანტიზმი, გოთიკა და შუასაუკუნოვანი მისტიკა ინკუბების და სუკუბების აღწერით, მონაზონთა ეროტიკული ხილვებით, რომლებიც დაფიქსირებულია ევროპულ ლიტერატურაში. ათეისტური საბჭოთა კულტურის მიერ ინდუსტრიალიზაციის და მეცნიერების პრიორიტეტის ეპოქაში დაწუნებული კოტარბინსკის სახეები მოთხოვნადი გახდა სციენტიზმის კრიტიკის, ინდივიდუალიზმის რეაბილიტაციის და ინტროვერტულობის ეპოქაში.

რომ შევაჯამოთ, შეიძლება ითქვას, რომ კოტარბინსკიმ მნიშვნელოვნად გაამდიდრა უკრაინული მოდერნიზმი და, ზოგადად, რუსული ხელოვნება იმ მოტივებითა და სახეებით, რომლებიც დომინირებდნენ ევროპულ მოდერნში. ჩვენი აზრით, კოტარბინსკის მხატვრობაში იგრძნობა გერმანული არტ-ნუვოს (იუგენდსტილი) გავლენა, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია სიუჟეტების შერჩევის და ქალური და მისტიკური თემების კოტარბინსკისეული ინტერპრეტაციის მხრივ. კოტარბინსკის კომპოზიციები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფერწერაში განსხეულებული კულტურათაშორისი დიალოგი, ევროპული ვიზუალური იდეების დამყნობა რუსული რელიგიური ფილოსოფიის და ყოველდღიურობის უკრაინული მისტიკის ნიადაგზე.

სხვადასხვა მხატვრული თანამეგობრობის წევრები კოტარბინსკის განიხილავდნენ, როგორც პოლონური ფერწერის წარმომადგენელს (მისი წარმოშობის მიზეზით), ასევე ერთ-ერთ „პირველ რუს სიმბოლისტს“ (იმის საფუძველზე, რომ იგი რუსეთის იმპერიის მოქალაქე გახლდათ) და პირველ უკრაინელ მოდერნისტს (კიევში მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრების და ვლადიმირის საკათედრო ტაძრის მოხატვის მიზეზით). ჩემი აზრით, კოტარბინსკის შეიძლება ვუწოდოთ „მსოფლიოს მოქალაქე“ და, რაც მთავარია, მან თავის შემოქმედებაში ბუნებრივად შეაუღლა რამდენიმე კულტურის - მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის და მე-20 საუკუნის დასაწყისის დასავლეთევროპული და უკრაინული გამომსახველობითი ტრადიციები.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Linda NOHLIN, The Imaginary Orient, in: The politics of vision: essays on nineteenth century art and society, New York, 1989, P. 33-57
- Olha SOSIK, Ancient Egyptian and Antique Visions in the Art of Wilhelm Kotarbinski, in: Художня культура. Актуальні проблеми. Вип. 16. Ч. 1. 2020, pp. 108-114.
- Андрей ДЬЯЧЕНКО, Хрупкий декаданс Вильгельма Котарбинского, 2013, Режим доступа: https://bellezza-storia.livejournal.com/345021.html, https://my.mail.ru/community/variations/58DBE1590B2D8C9D.html
- Виктория СУКОВАТАЯ, Екатерина ФИСУН, Восток и женственность в работах русских и французских ориенталистов: инверсии взгляда, in: Культура и искусство, 2013, № 2, pp. 153-160.
- Виктория СУКОВАТАЯ, Екатерина ФИСУН, Женские образы в живописи русских и французских ориенталистов:


философско-антропологический анализ, in: Вісник Харківського національного університету імені В.Н. Каразіна, Харків, 2013, № 1029-П, pp. 206-2012.
- Виктория СУКОВАТАЯ, Екатерина ФИСУН, Женские тела и имперские фантазии: гарем как территория восточного Другого, in: Лабиринт, Журнал социально-гуманитарных исследований, 2014, № 4, pp. 13-22.
- Дарья ДОБРИЯН, Сергей УДОВИК, Вильгельм Котарбинский. Фотоальбом, Киев, 2015, 80 p.
- Дар'я ДОБРИЯН, Участь Вільгельма Котарбінського в мистецьких об'єднаннях та художніх виставках Києва, in: Гілея, 2015, № 92, pp. 23-26.
- Ирина ПОТАНИНА, Вильгельм Котарбинский, Харьков, 2014, 350 p
- Лариса САВИЦКАЯ, Вільгельм Котарбінський у мистецтві свого часу, in: Хроніка - 2000. Український культурологічний альманах. Україна і Польща: діалог упродовж тисячоліть, Київ, 2009, pp. 562-587
- Лариса САВИЦКАЯ, Геній, котрий знав, що робить. Вільгельм Котарбінський, in: Музейный провулок, Київ, 2009, № 1, pp. 20-31.
- Лариса САВИЦКАЯ, На пути обновления. Искусство Украины в 1890–1910–е годы, Харьков, 2003, 467 p.
- Лора МАЛВИ, Визуальное удовольствие в нарративном кинематографе? in: Антология гендерных исследований, Минск, 2000, pp. 280-297.
- Марина ДРОБОТЮК, Вільгельм Олександрович Котарбінський (1849-1921) , in: Художня культура, 2010, issue 7, pp. 334-346.
- Олександр КОВАЛЕНКО, З історії художніх об'єднань України, in: Український історичний журнал, Київ, 1972, № 1, pp. 82–87.
- Олександр ФЕДОРУК, Українсько–польські мистецькі взаємини кінця XIX ст. – початку XX століть, in: Хроніка - 2000. Український культурологічний альманах. Україна – Польща: діалог упродовж тисячоліть. Зб. наук. праць, Київ, 2009, Т.80, pp. 487–508.
- Ольга МАРІНІНА, Марина КРУЖКОВА, Вільгельм Олександрович Котарбінський (1849-1921). Живопис і графіка з музеїв України та приватних колекцій Києва. Каталог, Київ, 2010, 39 p.
- Тереза де ЛАУРЕТИС, В зазеркалье: женщина, кино и язык, in: Введение в гендерные исследования. Ч. II: Хрестоматия, Харьков, Санкт-Петербург, 2001, pp. 738-758.



1. 1. ვილჰელმ კოტარბინსკის პორტრეტი, წყარო: Wikipedia.
PORTRAIT OF WILHELM KOTARBINSKI, SOURCE: WIKIPEDIA.



2. 1. კოტარბინსკი, „ორგია“, ავტორის არქივიდან.
KOTARBINSKI, *ORGY,* FROM THE AUTHOR'S ARCHIVE.



3. 1. ფ. შტუკი, „სფინქსი“.
F. STUCK, *SPHINX*.



4. კოტარბინსკი, „მონათა გალობა“, წყარო: ინტერნეტი.
KOTARBINSKI, *WOMEN SINGING IN CAPTIVITY*, SOURCE: INTERNET.



5. კოტარბინსკი, „კლეოპატრა“, წყარო: ინტერნეტი. KOTARBINSKI, *CLEOPATRA,* SOURCE: INTERNET.



6. კოტარბინსკი, „მედუზა“, წყარო: ინტერნეტი. KOTARBINSKI, *MEDUSA,* SOURCE: INTERNET.



7. .კოტარბინსკი, „მუქი ვარსკვლავი“, წყარო: ინტერნეტი. KOTARBINSKI, *DARK STAR,* SOURCE: INTERNET.